საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 07 სექტემბერი 2018 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/05

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის 2018 წლის საშტატო ნუსხაში შესატანი ცვლილების განხილვის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის 2018 წლის საშტატო ნუსხაში, დანართის შესაბამისად (განმარტებითი ბარათი თან ახლავს).

2. ახალი საშტატო ნუსხა ამოქმედდეს 2018 წლის 12 ოქტომბრიდან.

3. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2018 წლის 07 სექტემბრის
№ 04-01/05 დადგენილების დანართი

განმარტებითი ბარათი

უნივერსიტეტი და მისი შემადგენელი ყველა სტრუქტურული ერთეული წარმოადგენს ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც ყოველდღიურად იხვეწება. მიღებული გამოცდილებისა და მოსალოდნელი ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტში ხორციელდება გარკვეული ცვლილებები.

საშტატო სტრუქტურაში შესატანი ცვლილებების მთავარი მიზანია მოქმედი სამსახურების მაქსიმალური მიახლოება სტანდარტის მოთხოვნებთან და მათი ქმედითუნარიანობის ამაღლება.

მოქმედ სტრუქტურაში განხორციელდება რამდენიმე ცვლილება. კერძოდ:

ა. უქმდება სასწავლო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის შტატი. მის ნაცვლად მომავლისათვის იგეგმება უფრო ფუნქციური ერთეულის ჩამოყალიბება, რომლის ფუნქციებშიც შევა უნივერსიტეტის მიერ და უნივერსიტეტში განხორციელებული შემოქმედებითი და სხვა აქტივობების ორგანიზებულად ჩატარების კოორდინაცია და ასევე, პასუხისმგებელი იქნება ახალ კორპუსში მოქმედი დიდი და მცირე საკონცერტო სცენის მოვლა-პატრონობასა და მის ტექნიკურად გამართულ მუშაობაზე. აღნიშნული სტრუქტურის ჩამოყალიბებამდე იმოქმედებს შემოქმედებითი პროექტების მართვის კოორდინატორის შტატი, რომელიც კურირებას გაუწევს შემოქმედებით ღონისძიებებს.

ბ. უქმდება პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელის საშტატო ერთეული.

დღეს მოქმედი ამ ერთეულის ფუნქცია იყო მხოლოდ ერთ ფაკულტეტზე, კერძოდ, მუსიკის ფაკულტეტზე განხორციელებული პედაგოგიური პრაქტიკის კოორდინაცია. სტანდარტების თანახმად, თუკი უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამები ითვალისწინებს პედაგოგიურ პრაქტიკას, მათი დაგეგმვა, განხორციელება და კონტროლი უნდა უზრუნველყოს საუნივერსიტეტო სტრუქტურულმა ერთეულმა. აქედან გამომდინარე, მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული ფუნქციის რომელიმე სტრუქტურული ერთეულის შემადგენლობაში მოქცევისა ან ახალი სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც აისახება 2019 წლის საშტატო სტრუქტურაში.

გ. მუსიკის ფაკულტეტზე მოქმედი სამი დარგობრივი დეპარტამენტიდან, სტუდენტთა არყოფნის გამო (2 მაგისტრი), ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით უქმდება კლავიშებიან საკრავთა დეპარტამენტი. მისი ფუნქციები და საგანმანათლებლო პროგრამები შეუერთდება სამუსიკო პედაგოგიკის დეპარტამენტს. წარმოდგენილი ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდება 2 დეპარტამენტი:

- სამუსიკო პედაგოგიკა, მუსიკის თეორიის, საორკესტრო და კლავიშიან საკრავთა დეპარტამენტი.
- აკადემიური სიმღერისა და აკადემიური გუნდის დირიჟორობის დეპარტამენტი.

აღნიშნული ცვლილება იწვევს დეპარტამენტის ხელმძღვანელის და დეპარტამენტის სპეციალისტის საშტატო ერთეული ერთით შემცირებას.

სწორია: